საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის

ბრძანება № 01-01/16

ქ. თბილისი 28.12.2023 წ.

2024 წელს სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) შესვლისა და გადაადგილების შესახებ

სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნულ ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში (შემდეგში - „ობსერვატორია“) 2024 წელს დაგეგმილი რეაბილიტაციის პროცესის დაუბრკოლებლად და წარმატებით განხორციელების, ობსერვატორიის ტერიტორიაზე მყოფი პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის პრევენციის, ობსერვატორიის ყოფილი თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრების მიერ ამ ტერიტორიაზე მდებარე ობსერვატორის ბალანსზე არსებულ სახელმწიფოს კუთვნილ უძრავ ქონებაში - ბინებში არსებულ მათ პირად ნივთებზე (მოძრავი ქონება) საკუთრების უფლების რეალიზების ხელშეწყობისა და ობსერვატორიის ტერიტორიაზე პირთა მიმოსვლის ადმინისტრირებისათვის საჭირო რესურსების შემცირების მიზნით, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ პუნქტების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის №227/ნ ბრძანებით დამტკიცებული ობსერვატორიის წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ და „ტ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დადგინდეს **2024 წელს ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) შესვლისა და გადაადგილების წესი,** წინამდებარე ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. მხედველობაში იქნას მიღებული, რომ წინამდებარე ბრძანებით დადგენილი რეგულაცია წარმოადგენს **დროებით ღონისძიებას.**

3. წინამდებარე ბრძანების მოქმედების განმავლობაში **ძალაშია** „სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ტერიტორიაზე **უცხო პირთა**

შესვლისა და გადაადგილების პირობების დამტკიცების შესახებ“ ობსერვატორიის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №03-04/03 ბრძანება, აგრეთვე, **„შინაგანაწესის** დამტკიცების შესახებ“ ობსერვატორიის დირექტორის 2022 წლის 16 თებერვალს №01-01/06 ბრძანება, წინამდებარე ბრძანებით დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით.

4. მიენიჭოს დირექტორის მოადგილეს, **ბიძინა ჩარგეიშვილს** (უფლებამოსილი პირი) 2024 წელს ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) შესვლისა და გადაადგილების უფლების მოპოვების შესახებ განცხადებაზე გადაწყვეტილების მიღებისა და ამასთან დაკავშირებით გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებზე ხელის მოწერის უფლებამოსილება, ამავე ბრძანების მოქმედების ვადით.

5. განისაზღვროს ბრძანების აღსრულებაზე პასუხისმგებელ პირად (უფლებამოსილი პირი) მთავარი ასტრონომ-მენეჯერი, **ვაჟა ყულიჯანიშვილი.**

6. ბრძანება ხელმოწერისთანავე გამოცხადდეს საჯაროდ.

7. ბრძანება ძალაშია გამოცემის დღიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

8. ბრძანების დანართით გათვალისწინებული წესი გავრცელდეს 2024 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი **რევაზ ჭანიშვილი**

2024 წელს ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) შესვლისა და გადაადგილების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აკრძალულია ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) უცხო პირთა (პირები, რომლებიც ობსერვატორიაში არ არიან დასაქმებულნი) შესვლა და გადაადგილება. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება პირებზე:

   ა) რომლებიც სარგებლობენ ობსერვატორიის საექსკურსიო მომსახურებით. მათი გადაადგილების არეალი შემოიფარგლება მხოლოდ რეფრაქტორის შენობისა და გლაზენაპის კოშკის ლოკაციებით;

   ბ) რომლებიც ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებულნი არიან ობსერვატორიაში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებთან და არსებობს ობსერვატორიის უფლებამოსილი პირის თანხმობა ტერიტორიაზე მათი დაშვების შესახებ;

   გ) რომლებსაც ობსერვატორიის მიერ მინიჭებული აქვთ ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) შესვლისა და გადაადგილების უფლება.

2. მთა ყანობილზე, ობსერვატორიის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია დაემორჩილოს ადმინისტრაციის/უფლებამოსილი პირის და ობსერვატორიის დაცვის წარმომადგენლის კანონიერ მითითებებს, ტერიტორიაზე განთავსებულ გამაფრთხილებელ და ამკრძალავ ნიშნებს, ითანამშრომლოს ობსერვატორიასთან და გაგებით მოეკიდოს დადგენილ შეზღუდვებს შრომის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად უსაფრთხო სამუშაო/საარსებო გარემოს შექმნისა და შენარჩუნებისათვის.

3. წინამდებარე წესის დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, ობსერვატორია უფლებამოსილია დამრღვევი პირის მიმართ გაატაროს საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ყველა საჭირო ღონისძიება, მათ შორის განახორციელოს სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება.

4. ობსერვატორია უფლებამოსილია შეზღუდოს ან არ დაუშვას უცხო პირი ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) შესაბამისი დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, სარეაბილიტაციო სამუშაოების შეფერხების თავიდან აცილების ან ამავე ტერიტორიაზე დაშვებულ პირთა ნაკადის რეგულირების მიზნებიდან გამომდინარე.

5. წინამდებარე წესის მიზნებისათვის, ოჯახის წევრი განიმარტოს, როგორც დედა, მამა, მეუღლე, შვილი/გერი, შვილიშვილი (სრულწლოვანი), და-ძმა.

მუხლი 2. დებულებები იმ თანამშრომელთა მიმართ, რომელთა ძირითად სამუშაო ადგილს წარმოადგენს ობსერვატორიის თბილისის ოფისი

თანამშრომლებს, რომელთა ძირითად სამუშაო ადგილს წარმოადგენს ობსერვატორიის თბილისის ოფისი, ეთხოვოთ მაქსიმალურად თავი შეიკავონ ობსერვატორიაში (მთა ყანობილზე) ვიზიტისგან. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ უფლებამოსილი პირის თანხმობით, სამსახურებრივი ან სხვა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში. ამისათვისაც თანამშრომელმა უფლებამოსილ პირს უნდა მიმართოს მოხსენებითი ბარათით, ვიზიტის მიზეზის და ვადის მითითებით. ასეთი თანხმობის გარეშე იგი ობსერვატორიაში (მთა ყანობილზე) არ დაიშვება.

მუხლი 3. დებულებები ობსერვატორიის ყოფილ თანამშრომელთა და მათ ოჯახის წევრთა მიმართ

1. ობსერვატორია, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, იმ ყოფილი თანამშრომლის და მისი ოჯახის წევრის მომართვის საფუძველზე, რომელიც ფაქტობრივად სარგებლობს მთა ყანობილზე მდებარე ობსერვატორის ბალანსზე არსებული სახელმწიფოს კუთვნილი უძრავი ქონებით - ბინით და ამ ბინაში განთავსებული აქვს პირადი ნივთ(ებ)ი (მოძრავი ქონება), ანიჭებს უფლებას ყოველგვარი დამატებითი პროცედურების გავლის გარეშე ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) 2024 წლის განმავლობაში შესვლასა და გადაადგილებაზე.

2. დაინტერესებულმა პირმა (ობსერვატორიის ყოფილი თანამშრომელი ან მისი ოჯახის წევრი, რომელიც ფაქტობრივად სარგებლობს მთა ყანობილზე მდებარე ობსერვატორის ბალანსზე არსებული სახელმწიფოს კუთვნილი უძრავი ქონებით - ბინით და ამ ბინაში განთავსებული აქვს პირადი ნივთ(ებ)ი (მოძრავი ქონება)) ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლების მოსაპოვებლად ობსერვატორიას უნდა მიმართოს წერილობითი განცხადებით, რომელშიც აღნიშნული იქნება:

ა) იმ პირის ვინაობა (გვარი, სახელი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ტელეფონი), რომელსაც სურს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლების მინიჭება;

ბ) დასტური მასზედ, რომ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში განსაზღვრული პირი აანაზღაურებს (გადაიხდის) მთა ყანობილზე მდებარე ობსერვატორის ბალანსზე არსებულ სახელმწიფოს კუთვნილ უძრავ ქონებაში - ბინაში, რომელსაც იგი ფაქტობრივად სარგებლობს, მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულებას, ობსერვატორიაში დადგენილი წესის შესაბამისად და დადგენილ ვადაში;

გ) დასტურს მასზედ, რომ ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში განსაზღვრული პირი დაემორჩილება ადმინისტრაციის/უფლებამოსილი პირის და ობსერვატორიის დაცვის წარმომადგენლის კანონიერ

მითითებებს, ტერიტორიაზე განთავსებულ გამაფრთხილებელ და ამკრძალავ ნიშნებს, ითანამშრომლებს ობსერვატორიასთან და გაგებით მოეკიდება დადგენილ შეზღუდვებს შრომის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად, უსაფრთხო სამუშაო/საარსებო გარემოს შექმნისა და შენარჩუნებისათვის.

მუხლი 4. დებულებები ობსერვატორიაში სტუმრების მისაღებად

1. ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) სტუმრის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა (თანამშრომელი ან ყოფილი თანამშრომელი/ყოფილი თანამშრომლის ოჯახის წევრი, რომელიც ობსერვატორიაში ფაქტობრივად სარგებლობს მთა ყანობილზე მდებარე ობსერვატორის ბალანსზე არსებული სახელმწიფოს კუთვნილი უძრავი ქონებით - ბინით, რომელშიც განთავსებული აქვს პირადი ნივთ(ებ)ი - მოძრავი ქონება) უნდა მიმართოს ობსერვატორიას შესაბამისი წერილობითი თხოვნით, სტუმრის ვინაობისა და სტუმრობის ვადის მითითებით.

2. უფლებამოსილი პირის თანხმობის გარეშე სტუმარი ობსერვატორიაში არ დაიშვება.

3. დაინტერესებული პირი პასუხისმგებელია მისი სტუმრის მიერ ობსერვატორიის შინაგანაწესის და წინამდებარე წესის შესრულებაზე.

მუხლი 5. ვადები

1. ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) სტუმრის შესვლა - გადაადგილების უფლების მინიჭების შესახებ წერილობით განცხადებას ობსერვატორია განიხილავს **2 სამუშაო დღის ვადაში.**

2. ობსერვატორია მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს გამოსცემს არაუგვიანეს **2024 წლის 15 იანვრისა.**